ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბრძანება:**ბ11. 11240334**

თარიღი:**02/02/2024**

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 1 დეკემბრის N№11.1123335001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი” 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 1 დეკემბრის N№11.1123335001 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის #11 დადგენილების შესაბამისად,”.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შემდეგ მიეთითოს მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების შესრულება საქართველოს კანონის ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსი” შესაბამისად.“.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. # 247).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გელა ხოშტარია

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, აბაშა, 0200, უ.კაჭარავას ქ. N1, ტელ: (+412) 29 19 19, ელ.ფოსტა: ABASHA.MUN@GMAIL.COM